სსრ კავშირის თასზე

გუშინწინ ყარაგანდაში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი: “შახტიორი” (ყარაგანდა) _ “დინამო” (თბილისი). იმ დღეს იქ ყველაფერი შეიძლებოდა, ფეხბურთის თამაშის გარდა. მინდორი გაყინული იყო, ქროდა ძლიერი ქარი, ციოდა მინუს 10 გრადუსამდე და მაინც მატჩი შედგა.

მასპინძლები ძალზე რთული ამოცანის წინაშე იდგნენ: პირველი შეხვედრა მათ თბილისში წაგებული ჰქონდათ ანგარიში 0:3. რევანშის აღება ასეთივე განსხვავებით კი მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, თამაშმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. 90 წუთის მანძილზე გოლი არ გატანილა _ 0:0. თბილისის “დინამო” გავიდა თასის მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება ლვოვის “კარპატის”. მატჩები შედგება 21 და 26 მარტს.

დინამოელებმა ყარაგანდაში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული იქნა მ. ხურცილავა, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი.

“ლელო”, 18 მარტი, 1972 წ.